

ნინელი ჭოხონელიძე

ხეებისა და ბუჩქების სახელები რ. ინანიშვილის ენაში

რ. ინანიშვილი ჩვენი ბუნების უბადლო მხატვარია. მწერალი შემოქმედისათვის დამახასიათებელი დიდი ალლოთი ცდილობს, მხატვრული ენით დაწვრილებით აგვიწეროს და დაგვიხასიათოს ჩვენი წყალ-ჭალა. მისი სურვილია, რომ თავისი შემოქმედებით ჩვენც გვაზიაროს იმ საოცარ იდუმალეზას, რომელსაც ჩვენი „ხევი და წყარო, კლდე და რიყე, ბუჩქნარი და ვერხვნარი“ ქმნის, სადაც „ხეებს და ქვებს სუნი და გემო აქვს“, „ნეკერჩხლის ერთი დიდი წითელი ფოთოლი როგორ თრთის და ცახცახებს“, „ყვავილები სიცილისაგან ბუჩრდებიან“, მუხის ნორჩ ტოტზე კი „გზას გასდგომია სევდიანი შავი პაწაწა ჭია“, ხოლო „მუხის ნაჭრილობებში მთელი ბლუჯა ია ამოსულიყო და ჟრიამულით ყვაოდა“.

მწერალი კარგად იცნობს ჩვენი ბუნებისათვის დამახასიათებელ როგორც ველურ, ისე კულტურულ მცენარეებს, ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს, მისთვის ცნობილია მათი როგორც ლიტერატურული, ისე დიალექტური სახელწოდებები. რ. ინანიშვილი მისთვის დამახასიათებელი ლაკონიური, მხატვრული ენით კარგად გვიჩვენებს, რომ ჩვენში გავრცელებული თითოეული მცენარე – როგორც გარეული, ისე კულტურული, ჩვენი ყოფა-ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს, გამოიყენება კულინარიაში, ხალხურ მედიცინაში, საყოფაცხოვრებო ნივთების დასამზადებლად, სამშენებლო საქმიანობაში და სხვ. და მართალია – დროებასთან ერთად იცვლება მცენარეებიც, მათი ადგილმდებარეობაც და – ადამიანებისა არ იყოს, მათაც თავისი ისტორია აქვთ. „ფერდობში ახლა კომშები, ქლიავეები, ალუბლები და პატარა კაკლები დგას, ადრე კი, ჩემს ბავშვობაში, თელები, მუხები, ხეშავეები და ბებერი წნორები იდგა“, მაგრამ ადამიანისა და მცენარის ურთერთ-დამოკიდებულება უცვლელია.

მას – როგორც ინდივიდუალური სტილის მქონე მწერალს, მცენარის თითოეული სახელი მისთვის დამახასიათებელი დიდი ალლოთი და სიფრთხილით ფრაზაში ზუსტად იმ ადგილას აქვს

გამოყენებული, სადაც მხატვრული ტექსტი მოითხოვს. ამიტომაცაა, რომ მათი „სურნელება, სადაც უნდა იყო, ჩემს მიწას გაგახსენებს, ჩემს ველებსა და მთებს“.

მწერლის ენაში დადასტურებული მცენარეთა სახელების დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ცნობილია ძველი ან ახალი ქართულის სამწერლო ძეგლებიდან. ჩვენ ხომ „ჩვენ სამკვიდროებში ყოველთვის მრავალწლოვან, საუკუნოვან მცენარეებს ვზრდიდით, – ვაზებს, კაკლებს, ვაშლებს, მსხლებს... მუხებსა და ცაცხვებსაც კი, და რაც უფრო დიდი ხნისანი იყვნენ ეს მცენარეები, მეტ პატივს ვცემდით, გვეამაყებოდა მათი და ჩვენი ერთად არსებობა ქვეყანაზე“.

სამწერლო ენაში ცნობილი ხეების სახელებიდან რ. ინანი-შვილთან დასტურდება **თხილი, ვერხვი, ცაცხვი, აკაცია, წნორი, მუხა, შინდი, იფანი, ასკილი, კუნელი, რცხილა, თელა, გრაკლა, ღვია, ბზა, ნეკერჩხალი, ჭადარი...**

რ. ინანი-შვილმა, როგორც ბუნების დიდმა მცოდნემ, კარგად იცის, რომელი მცენარეები იზრდებიან გვერდიგვერდ და თანაც – ფრაზის მხატვრულობის გათვალისწინებით – ხშირად ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა მცენარის სახელი აქვს გამოყენებული.

ამჟამად ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ – მწერალი ხეებისა და ბუჩქების აღმნიშვნელი რომელი ლექსიკური ერთეულებით ამდიდრებს ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ მარაგს. წარმოვადგენთ მხოლოდ იმ სახელებს, რომლებიც მწირად – ან არ გვხვდება სამწერლო ენაში. ამ თვალსაზრისით ვეყრდნობით ქეგლის მონაცემებს.

ასეთებია: **ხეშავი, შავრცხილა, ცხრატყავა, თელამუში, ხეჭრელი, ჯაგმუხა, ილღუნი, მდგნალი, ღვედკეცი, ჭანჭყატა, მურყანი, კატაფშატა, ქორაფი, თრიმლი, წიფელი, უზანი, ძემვი...**

ხეშავები და ბებერი *წნორები* იდგა (კეთ. 3, 9).

მთელ ზურგ *გრაკლასა* და *ავშანს* ჩამოიტანს (მეგობ. 17, ქვ. 11).

შემდეგ *მუხები, შავრცხილები* – ნამდვილი ტყე ხეთა სახელების (ჯაგ. 48, 2).

გავიარე უკვე შეფერიანებული ნაყოფით ტოტებდამძიმებული *ასკილები*, ხუჭუჭა *ცხრატყავები*, სიცხისაგან შეწუხებული, ფოთოლგაცვენილი *კუნლიანები*, გადავჭერი ხევიდან წამოსული თეთრად გადამხმარი ნაღვარალი და მივუახლოვდი ჭალის რცხილიან ტყეწვრილს (ალერს. 81, 22).

ხის მასალას რასაც უყურებთ, სუ ერთი *თელისაა*, ერთი *თელამუშისა* (ალერს. 236, ქვ. 1).

ბევრი ვიცოდით: *რცხილა*, *იფნი*, *ქორაფი*, *შვინდი*, *შვინდლარწა*. ბევრი არა: *ჭანჭყატა*, *ხეჭრელა*, *თრიმლი*, *უთხოვარი* (ტ. I, 27, ქვ. 11).

კვირტები დაჰბერიათ, საცაა დაუსკდებათ, *ჯაგმუხასა* და *უზანს*, *შინდსა* და *იფანს* (ცისფ. 185, 10).

ფშის ნაპირები ძალიან უყვართ *წნორებს*, *მურყნებს*, *მდგნალებსა* და *ვერხვებს* (მოთხ. 185, ქვ. 4).

რიყის აქეთ-იქით აყრილი *მურყნები* და *თხილი* მინაშული ნარიყით იყო სავსე (შორ. 205, 18).

ერთმანეთს ეჯაჯგურებიან *წიფლების* კენწეროები ცის შავეთში (მთვარ. 160, 17).

იქით ძეძვნარია, *ძეძვის* ფარები დაირის ფიფანურებივით თრთიან (გოლ. 160, 23).

მწერალი კარგად განარჩევს ასევე ამა თუ იმ მცენარის სახესხვაობებს.

მტირალა ტირიფები, გედები (შორ. 269, 5). ვჭრიდით ივრის ჭალებში *წითელი ტირიფისა* და *ჩოქელა ვერხვის* უწმინდეს წნელებს, თუ *ყვითელ ტირიფს* გადავეყრებოდით, იმას ხომ არაფერი სჯობდა (მთვარ. 249, 13).

მწერალი ზოგჯერ ქველში პარალელურად დამოწმებულ ორსავე ფორმას იყენებს: **იფნი // იფანი; შვინდი // შინდი...**

ბევრი ვიცოდით: *რცხილა*, *იფნი*, *ქორაფი*, *შვინდი*, *შვინდლარწა*. ბევრი არა: *ჭანჭყატა*, *ხეჭრელა*, *თრიმლი*, *უთხოვარი* (ტ. I, 27, ქვ. 11).

კვირტები დაჰბერიათ, საცაა დაუსკდებათ, *ჯაგმუხასა* და *უზანს*, *შინდსა* და *იფანს* (ცისფ. 185, 10).

რიგ შემთხვევაში მწერალი ორსავე ფორმას – როგორც ლიტერატურულს (ავტორისეულს), ისე კუთხურს (პერსონაჟთა მეტყველებისას) – მიმართავს.

ჯაგარცხილა (ჯაგრცხილა – ქველი) სერებზე ძეძვები და *ჯაგრცხილები* შეყვითლდნენ (გოლ. 216, ქვ. 4). იყო *ჯაგარცხილების* და *ჩოქელა მუხების* კორომებიც (გოლ. 374, 5).

შვინდლარწა (შვინდანწლა – ქველი) კიდევ – *შინდანწლები* და გასაოცარი კუნწულებით დატვირთული ჭანჭყატები ანუ კიდო-

ბანები (მთვარ. 84, ქვ. 7). ჭანჭყატა ბევრი ვიცოდით: რცხილა, იფნი, ქორაფი, შვინდი, *შვინდლარწა*, ბევრი არა ჭანჭყატა, ხეჭრელა, თრიმლი, უთხოვარი (ტ. I, 27, ქვ. 11).

მწერალი პერსონაჟთა მეტყველებისას ხშირად მიმართავს მცენარეთა ადგილობრივ სახელწოდებებსაც.

ბერტყენა (ბერყენა – ქეგლი). იქ, იმ საყანე მიწებში, იმ *ბერტყენასთან*, ერთხელ კიდევ ვნახავ მზის წამოდგომას (ერთტ. 44, ქვ. 11). ერთი პატარმეულელი კაცი, თოვლში *ბრტყენიდან* მობრუნებულა საყველაწმინდოს დასალევად (გოლ. 248, 10).

ილღუნი (იალღუნი – ქეგლი). წყალი... უქმად მიედინებოდა, – აქ ფართოდ გაშლილი, მღვრიე, დიდ-დიდ ქვებზე აჩქაფუნებული, მერე ქაცვებსა და *ილღუნებში* შეკარგული (ჯაფ. 48, 2).

ზოგი მათგანი კი სხვა დიალექტებშიც გვხვდება, მაგ.:

უთხოვარი (კახ., ფშ., ხევს.) ურთხელი. ხეჭრელა, თრიმლი, *უთხოვარი* (ტ. I, 27, ქვ. 11).

კატაფშატა (გურ., კახ.) ჭალაფშატა. გავიარეთ... ვერცხლის-ფრად შეფიფქული *კატაფშატების* ჭალაც (ჯაფ. 285, 3).

მწერალი მოთხრობის თემის მიხედვით ცვლის ამა თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელ ბუნების სურათს, რაც ხელს უწყობს პერსონაჟთა სახის გახსნას. მაგ.: **აბანოზის ხე, კვიპაროსი, იაპონური ხურმა, გლიცინია, პალმა, თეთრი ჭადარი, ქაფურის ხე, დაფნა, ზეთისხილი, ევკალიპტი, ბზა, სანდალოზის ხე, როზმარიონი...**

(ატლანტის ოკეანეში) ... მთელი კუნძული ძვირფასი *აბანოზის ხეებით* იყო დაფარული (მთვარ. 138, ქვ. 3).

ნაღვლიანი *კვიპაროსები* აჰკვროდნენ შაბიამნისფერ მოცახცახე ცას (ჯაფ. 72, 18).

მათ შორის მრავლადაა ხეები – *კაკლები, თუთები, კომშები, მსხლები, იაპონური ხურმები* (წერ. 210, 10). ვენეციაში... აქეთ, ხშირ ფოთლებში, უკვე ყვაოდა *გლიცინია* (წერ. 198, 17).

მაგნოლიებით დაბურული ხეივანი. აქეთ-იქიდან, კვლებში, მწვანე ბალახი. *პალმები. უხუცესი ვერხვები.* ზედ ხავსი, სურო ... *თეთრი ჭადრები, ქაფურის ხეები, დაფნა, ზეთისხილი.* ბამბუკებს იქით ნამდვილი ზღაპრული ტბა (შორ. 268, 12). იყო დიდი *ვერხვები, ევკალიპტები* (გოლ. 158, ქვ. 8).

არ იცით? – ალტაცებით იკითხა ლეონ რუვიმის ძემ. – აბა, რა

იქნება? ღვია. – აჰ! – ზზა. – რას ამბობთ! მე ისევე ვიცი მცენარეების სახელები, როგორც ჩინური იეროგლიფები. მცენარეს მეც გადავწვდი. კაცზე ცოტა მაღალი, ტოტემმეჩხერი ბუჩქი. მინდოდა თავი გამომეჩინა, ფოთოლი გავსრისე, რამდენჯერმე დავცნოსე და ვითომც ძალიან უბრალოდ ვთქვი: – *სანდალოზის ხეა*. – აჰ, არა. ესაა *როზმარინი*! იშვიათი ეგზემპლარი. ჩეხოვის ეზოში დგას და ჩემთან, სხვაგან არსად (ჯგაფ. 204, 15).

ზოგი ხის სახელწოდებას მწერალი მისთვის დამახასიათებელი ლექსიკოგრაფიული სიზუსტით თვითონვე განგვიმარტავს.

ქაცვი – ავი ეკალი და უკუდმართი ჯგაგი (გოლ. 128, 5). *კიდობანას* თითოეული მარცვალი მართლაც მოჭედილ პაწაწინა კიდობანს ჰგავს (მთვარ. 84, 6).

ხან კი სიტყვის განსამარტავად მწერალი სინონიმისაც მიმართავს.

სინონიმი **ბრტყენა, ბერტყენა** // **ოლე** (ბერყენა – ქეგლი). იქ, იმ საყანე მიწებში, იმ *ბერტყენასთან*, ერთხელ კიდევ ვნახავ მზის წამოდგომას (ერთტ. 44, ქვ. 11). ხომ მიყვარდა ჩვენი ბებერი *ბრტყენა*, იმ დღიდან წმინდა ხედ იქცა ჩემთვის, წარმოიდგინეთ – დიდებულის *ოლეს* პროტოტიპი! *ოლე!* *ოლე!* რამდენჯერაც მივსულვარ მასთან, დავაწყობდი ხელებს ზროზე და ავყურებდი ღიმილით მაღლა (გოლ. 249, ქვ. 12).

ჭანჭყატა // **კიდობანა**: კიდევ-შინდანწლები და გასაოცარი კუნწულებით დატვირთული ჭანჭყატები ანუ *კიდობანები* (მთვარ. 84, ქვ. 7).

იღგა ვეება გაჯაგული ვერხვები და ქაცვები, წნორები და კუნწლები, მურყნები და კატაფშატები, ახვეული იყო ზედ სუროები, უსურვაზები, ღვედკეცები; გაბმული იყო, გახლართული **ღიჭა (ევა-ლა)** და მაყვალი (კეთ. 67, 8).

ბოყს მოჰყვებოდა **მოცხარი (სმაროდინა)**, იმას კუნწულა პანტა, კუნწულა პანტას – უკვე ბალი (წერ. 362,4).

მერალა ხის სახელწოდება *ალისტო* კი რ. ინანიშვილის მიერაა დამკვიდრებული სამწერლო ენაში. ზემოთ ნაღეწიანში (დაღეწილია *ალისტოს* – *მერალა ხის* – ამონაყარი) ბალახობს ზურგნაირევი გამხდარი ცხენი (კეთ. 27, 10).

მწერალი ეხება მცენარეთა სახელწოდებების მართლწერასაც. მას მიუღებლად მიაჩნია სინტაგმები: *ვიჭვის ხე, მუხის ხე, რცხი-*

ლის ხე... მხატვრული კონტექსტის შესაფერისად, მისთვის დამახასიათებელი ლაკონიური ენით გვიზიარებს თავის მოსაზრებას. საიდან დაინერგა ეს აუტანელი „ფიჭვის ხე“, „მუხის ხე“, „რცხილის ხე“, ... ან ეს რა არის? – „ძველი ალუბლის ჩრდილი?“, გამოდის, რომ შეიძლება იყოს „ახალი ალუბლის ჩრდილიც?“ (მთვარ. 220, 5).

რ. ინანიშვილი ასევე დიდი სიყვარულით გვაცნობს ჩვენს ტყეებსა და ჭალებში გავრცელებულ გლეხკაცის მასაზრდოებელ ნაყოფისმომცემ გარეულ ხესა და ბუჩქს, როგორებიცაა, **მახველი, ზღმარტლი, ტყის თხილი, მაჟალო, ზრტყენა, ასკილი, კუნელი, თამელი, კატაფშატა...**

ვპოულობ *მახველის* მშვენივრად დახუნძლულ ბუჩქს (მთვარ. 160, 12).

ფანჯრის რაფაზე *ტყის თხილია* გაფენილი, ქვაბში გემრიელი ზღმარტლი ყრია (მოთხრ. 89, ქვ. 11). *ზღმარტლი, ასკილი, მახრჩობელა პანტა, თამელი* (კეთ. 101, 11). ნასიმინდრებს იქით დიდი *მაჟალო* დგას (მოთხ. 89, ქვ. 8). იქ დიდი თელები და *კვრინჩხები* იდგა (ტ. IV, 336, 1).

ბევრი ვიცოდით: რცხილა, იფნი, ქორაფი, *შვინდი*, შვინდლარწა. ბევრი არა: ჭანჭყატა, *ხეჭრელა*, თრიმლი, უთხოვარი (ტ. I, 27, ქვ. 11).

გავიარე უკვე შეფერილი, ნაყოფით ტოტებდამძიმებული *ასკილები*, ხუჭუჭა ცხრატყავები, სიცხისაგან შეწუხებული, ფოთოლგაცვენილი კუნლიანები, გადავჭერი ხევიდან წამოსული თეთრად გადამხმარი ნალვარალი და მივუახლოვდი ჭალის რცხილიან ტყეწვრილს (ალერს. 81, 22). *კუნლები* და *ჩიტკომშებილა* გამოიყურებოდნენ მხიარულად, ალაზნის პირას კიდეც – *ქაცვები*. იქ დაბალ ბუჩქებს სიმწვანეც დაჰკრავდათ, დიდი ტანჭრელი ვერხვები კი შიშვლები იდგნენ (გოლ. 58, 3). რას ვნატრობ ხოლმე მაშინ, იცი? დიდებულ ალექსანდრულ გულაბს კი არა, – *ტყის პანტას* (სად. 100, ქვ. 5). დგანან შემკრთალებივით: მუხები, რცხილები, შავრცხილები, ნეკერჩხლები, *შვინდები*, შვინდანწლები. განათებულში – *შავი კუნელიც* (მთვარ. 159, ქვ.10).

ვაჟკაცებმა უნდა ჭამონო: ხოხნოტაო, მიწავაშლაო, მაჩიტაო, *კოწახურის* ფოთოლიო, მჟაუნაო... – ყინტორა, ვაზის ყლორტი თავისივე ბწკლებით! აჰყვა გიგა, – ბოყი! კიდეც რა ... დათრთვილული კვრინჩხი... ხან გიგა იმახდა, ხან დათა: – *ზღმარტლი, ასკილი, მახ-*

რჩობელა პანტა, თამელი (მოთხრ. 130, ქვ. 6).

რ. ინანიშვილის ენაში ყურადღებას იპყრობს ჩვენს ბაღებში გავრცელებული ესა თუ ის კულტურული მცენარე, მაგ.: **ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ბალი, ალუბალი, თუთა, ხართუთა, კომში, ლეღვი, უნაბი, ფშატი, ბროწეული, ჭერამი...**

ასევე თვალშისაცემია მწერლის მიერ გამოყენებული კულტურულ მცენარეთა ადგილობრივი ჯიშების სახელები. ზოგი მათგანის სახელი სალიტერატურო ენიდან და სხვა დიალექტებიდანაც ნაცნობია, მაგრამ მწერლის მიერ მათი სათანადო გამოყენება მხატვრულ კონტექსტს სხვა ელფერს სძენს.

ვაშლი: თურაშაული, ყინულა, ჟანგურა, ხურდა ვაშლი, ხომარდული, დემირა ვაშლი, ლიმონა ვაშლი, კიტრანა, ჩიტავაშლი, თეფშა ვაშლი, კეხურა, კომშა ვაშლი...

თურაშაული... სადღაა ქართული ვაშლების გვირგვინოსანი, ბავშვების სანატრელი ლოყებლაჟღაჟა, რბილი, წვნიანი თურაშაული! ან *ყინულა* სადღაა, დიდ-დიდები, ცოტა მოგრძონი, ისინიც წითლები, გული რომ მართლაც ყინულივით ჰქონდათ, გამჭვირვალე, ტკბილი, თაფლივით, *ჟანგურა* სადაა, მას რაღა დაემართა, მართლაც ჟანგისფერს, გემოთი განუმეორებელს. ან *ხურდა ვაშლს* რაღა ღმერთი გაუწყრა, ზღვად რომ იცოდა დაყრა. არავინ რომ არ გვიშლიდა იმ ვაშლებით ჯიბეების დატენას, „კაპლივით“ გემო რომ ჰქონდათ! *ხომარდულები?* ადრეული ყვითელი ხომარდულები რაღა მიწაში ჩამვრნენ?! (გოლ. 148, ქვ. 4). მე მოვიკითხე... მაღალი დემირა ვაშლები, კვიჭიჭა მსხლები, თხმელები. იმ თხმელებზე ჩამოკონწიალებული დესები, თხილები (შველ. 58, 6).

მსხლების ქვეშ ვაშლები ჩაყურებულიყვნენ: *ლიმონა ვაშლები, კიტრანები, ჟანგურები*, იყო წითელი *ყინულა ვაშლიც* (შორ. 134). ერთი *ყინულა ვაშლი* გვედგა ზევით – ვენახის გვერდში (ალერს. 147, 20). *ჩიტავაშლები...* დანაცრდება-გაწვრილდება, განაცრისფერდება (ალერს. 82, 5). მამა... შვეიდა დიდი *კეხურა ვაშლის* ქვეშ (გოლ. 219, 13).

ამ ფანჯრის ძირში შემოდგომურა ყვავილები დგას, მერე *ხომარდულებია* (სად. 110, 4).

არც გარგარს ესხა, არც ალუბლებს, არც *თეფშა ვაშლებს*. სამაგიეროდ, მსხალი და კეხურა ვაშლები სულ შეხორხლილი იყო, *კეხურა ვაშლები, კომშა ვაშლები* და *კიტრანები* (ტ. IV, 327, ქვ. 9).

მსხალი: ლიმონა მსხალი, კალოს მსხალი, იაზღუხი, ქართული გულაბი, ხეჭეჭური, კუნწულა პანტა, ალექსანდრეს მსხალი, ბორბალა მსხალი, თამროს მსხალი, გოგრა მსხალი, ბოლონა მსხალი, საადრეო მსხალი...

მსხლები?! *ლიმონა მსხალი* ვინ გააქრო, სიცხიანი ავადმყოფის გულის მპოვნელი, ნაღვინევთა მხსნელიც! ვინ გააქრო *კალოს მსხალი* ანდა *იაზღუხი*, ნათლისმცემლობა დღეს რომ ყვითლად დაამშვენებდა სუფრას! რა დღეში არიან *ქართული გულაბები*, გადაჭამეს შავმა ხალებმა და ეგ არის! რამ დააბეჩავა ნამდვილი *ხეჭეჭურებიც!* აფსუს! თრთვილდადებული ფოთლების ქვეშ რომ იყვნენ ჩაყუჩებულინი – ყვითლები, ცოტა მაგრები, მაგრამ ტკბილები, ტკბილები! *კუნწულა პანტებს* რაღა დაემართათ, მუხებზე დიდებს?! (გოლ. 149, 8). მთელი *ქართული გულაბი* სულ ძირს იყო ჩამოსული (შორ. 84, 3).

ორი კილო *ალექსანდრეს მსხალი* იყიდა (ჩიტ. 238, 1). *ბორბალა მსხალს* რა ვუყო (სორ. 83, 7). ბროწეულებს *თამროს მსხლები* მოჰყვა, ცივები, მძიმეები, გვერდებოკრობოკროები, მომწვანო-მოყვითალოები (შორ. 134, 14). მარნის კოჭებზე ... *კომშისა და გოგრა მსხლის* ჯაგნები ეკიდა (მთვარ. 95, ქვ. 6).

თან ამეებსაც ვუხსნიდი, – *ბოლონა მსხალი* საგვიანოა, ზამთრის, სულ თავში კი – საადრეო, სუნიანი. ეგ სუნიანი, ნახევარი *ლიმონა მსხალია*, ზამთარში მაგას ხილი არ შეედრება (წერ. 228, 8). *ქართული გულაბიდან* გადავედი *ბორბალა მსხალზე*, იქიდანაც ჩავუყარე ყვითლები და ლოყაწითლები (წერ. 228, 3).

ატამი: საპოზი, სახრავე, მკათათვის ატამი, ლედვატამი, ვაშლატამა, ტიტველა ატამი, გორული ატამი, წითელი, თეთრი ატამი, ლედვ-ატამა...

ყველაზე მეტად მაინც ატმები შემოგვწყრნენ, თვითონვე რომ ავსებდნენ ჩვენს ვენახებს, ფერად-ფერადად რომ იყვნენ გადაგრაგნილები, ქვეშ გავლა რომ გვიჭირდა, აღარ ვიცოდით, ფეხი სად ჩაგვედგა, კალოებივით რომ ჰქონდათ დაგებული ნაყოფი! აფსუს, ატლასივით სუფთა, ლოყებალისფრებულო *საპოზებო!* ბებიების სიხარულებო, თანაც მტანჯველნო, წელი რომ სტკიოდათ თქვენი ჩირვით. აფსუს, ზამთარში კიდობანიდან ამოთრეულო სურნელოვანო ატმის ჩირო! აფსუს, ყვითელო ატმებო, აფსუს, წითლებო, ღვინისფერშერეულნო! სადა ხართ, მსხვილ-მსხვილო, თეთრო *სახრავებო!*

ან თქვენა, ხავერდოვანო *მკათათვის ატმებო*, თან ცოტა „მარახოშე-
ბო“, თან მდიდრულად ტკბილებო! ან თქვენა, *ლეღვატამებო*, ან *ვაშ-
ლატამავ*, *ტიტველა ატამსაც* რომ გეძახდით... სადა ხართ, მთლად
გვიანა ყვითლებო, დიდო ძირებო, ვენახების დაკრეფის შემდეგ რომ
გვიხარებდით გულს. სადა ხართ, ზადახშოვანო მსხვილო *გორულე-
ბო!* (გოლ. 149, 17). მოვიტანე გოგრისა და კულმუხოს ფოთლები, გა-
ვფინე სუფრასავით, იმ ფოთლებზე დავაწყე მსხლები. სწრაფად მო-
ვიტანე ატმებიც – *საპობი, სახრავი, თეთრი, წითელი, წითელლოყა
გორული, ლეღ-ატამაც* კი... (წერ. 228, 18).

**ქლიავი: ჭანჭური, შავი ჭანჭური, პაპასხილი, თეთრი ქლიავი,
წითელი ქლიავი, ღორქლიავა, ოტური ქლიავი...**

წნორი თუ არა, *ჭანჭური* მოგვეჭრა რომელიმე (შორ. 229, ქვ. 9).
აქვე იყო... შავი ჭანჭური, მერე ხეჭეჭური, მერე პაპასხილი, მერე
ფშატი (სად. 109, ქვ. 8).

ქლიავებს რაღა დაემართათ!, სადღაა მსხვილი *თეთრი ქლია-
ვი*, თაფლი, თაფლი! ან *შავი ჭანჭური!* ან ნამდვილი *პაპასხილი!*
(გოლ. 149, 4). მოვიტანე *წითელი ქლიავი* – პაპას ხილიც, მსხვილი,
ბრდღვიალა შვინდებიც (წერ. 228, 23).

იქვე ეგდო ორი მსხალი, ათიოდეც მსხვილი *ღორქლიავა*
(გოლ. 218, ქვ. 4). ორლობის სიმწვანეს ანათებენ ხოლმე მწიფე ჭერმე-
ბი, *ოტური ქლიავები* (მთვარ. 85, 10).

მწერალს არ ავიწყდება ნამყენი ხილიც.

თამაზას შევეცოდე და თავიანთ *ნამყენ ბალზე* დამპატიჟა
(გოლ. 230, 4).

კეთილო *ატმებო* – *ტყემლის* საძირებზე დამყნობილ-დაბე-
რილებო (გოლ. 150, 5).

მწერალი ადგილობრივ ჯიშებთან ერთად ასახელებს ასევე
უცხო წარმომავლობის კულტურულ მცენარეთა სახელებს. იგი შე-
შფოთებულია, რომ ადგილობრივ ქართულ ჯიშებს ჩაენაცვლენ
უცხოური ჯიშები. მაგ. **კალვილი, რანეტი, შაფრანი, ვილიამსი, სენ-
ჟერმენი, ჟოზეფინა...**

ნუთუ ეგრე უომრად დაუთმეთ თქვენი ადგილები უცხოობი-
დან მოსულებს: *კალვილებს, რანეტებს, ანტონოვურებს, შაფრანებს,
სემირენკოებს!* *ალექსანდროვულ მსხლებს, ვილიამსებს, სენჟერმე-
ნებს, ჟოზეფინებს!* ატმებო, მშობლიურო, კეთილო ატმებო, – ტყემ-
ლის საძირებზე დამყნობილ-დაბერილებო! ჩვენც ხომ არ წამოვი-

დეთ, სადაც თქვენ წახვედით? სადა ხართ, სად! (გოლ. 150, 1).

ზოგი მათგანის სახელი ქეგლშიც არის წარმოდგენილი, მაგ.: **კალვილი, რანეტი, შაფრანი...**

იმვითად მწერალი კულტურული მცენარის ლიტერატურული სახელის ნაცვლად დიალექტურს იყენებს.

ხომარდული (საღ. 110, 11). შდრ. ხომანდული – ქეგლი.

ანტონოვური (გოლ. 150, 1). შდრ. ანტონოვკა – ქეგლი. **ალექსანდრეს მსხალი** (ჩიტ. 238, 1). ასევე **ალექსანდროვული მსხალი** (გოლ. 150, 1). შდრ. ალექსანდროული // ალექსანდრეული – ქეგლი.

მწერალი ცდილობს აგვიხსნას ხეების სახელდების საიდუმლოებაც.

თან ამეებსაც ვუხსნიდი, – *ბოლონა მსხალი* საგვიანოა, ზამთრის, სულ თავში კი – საადრეო, სუნიანი. ეგ სუნიანი, ნახევარი ლიმონა მსხალია, ზამთარში მაგას ხილი არ შეედრება (წერ. 228, 8). *ლიმონა მსხალი* ხომ არის, ყვითელი და წვნიანი, გულში გემო აქვს ნამდვილი ლიმონის, მჟავე და გემრიელი ლიმონის (წერ. 228, 10). *ჟანგურა* სადაა, მას რაღა დაემართა, მართლაც ჟანგისფერს, გემოთი განუმეორებელს. ან *ხურდა ვაშლს* რაღა ღმერთი გაუწყრა, ზღვად რომ იცოდა დაყრა (გოლ. 148, ქვ. 4).

(ვაშლი) – *სემირანკაო* ბაზარში. სინამდვილეში, *სემირენკოა*, უკრაინული წარმოშობის. იქ იყო *სემირენკო*, სელექციონერი (გოლ. 29, 30).

საყურადღებოა, რომ, მსხლის ერთ-ერთი ჯიშის სახელი **ალექსანდროული // ალექსანდრეული** რ. ინანიშვილის მიერაა სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული. ჯერ *ალექსანდრეული მსხალი* ვიციდეთ, მერე – ბროწეულები – ქეგლი.

მწერალს ყურადღების გარეშე არ რჩება ვენახიც. აქეთ როგორი ვენახები აქვთ, – და ეს მე ძალიან მომწონს, – *ვაზიც* არის, რა თქმა უნდა, მთავარი ვაზია, მაგრამ ვაზებში *ატმებიც* დგას, ალაგ-ალაგ *მსხლებიც, ვაშლებიც* (გოლ. 283, ქვ. 4).

მწერალი ასახელებს ცნობილ და – ამავდროულად – ადგილობრივ ვაზის ჯიშებსაც, ესენია: **თავკვერი, რქაწითელი, მუსკატი, კაბერნე, თითა ყურძენი, საფერავი...**

თავკვერია, ნახე, რა გემო აქვს (ჯაფ. 284, 5). გამოაქვთ დამკვრახული *რქაწითელი* (კეთ. 211, 26). *მუსკატს* კიდევ არა უჭირს, *კაბერნემ* კი თქვენი ჭირი წაიღო (ალერს. 445, 21). გამჭვირვალე

თითა ყურძენს აჭმევდა (მეგობ. 58, 3).

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ რ. ინანიშვილი ხეებისა და ბუჩქების აღსანიშნავად მდიდარ ლექსიკას იყენებს. იგი სალიტერატურო ფორმებთან ერთად მიმართავს ხალხურ სახელწოდებებსაც, რაც ხელს უწყობს ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. ამ მხრივ რ. ინანიშვილის ღვაწლი უდავოდ დიდია.

ლიტერატურა

- ალერს.** – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.
- გოლ.** – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.
- ერთტ.** – ერთტომეული, თბ., 1981.
- კეთ.** – კეთილი მიწა, თბ., 1984.
- მეგობ.** – მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, თბ., 1958.
- მთვარ.** – მთვარის ასული, თბ., 1987.
- მოთხრ.** – მოთხრობები, თბ., 2007.
- სად.** – სადამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.
- ტ. I** – თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1953-1968 წწ.
- ტ. IV** – ტ. IV, პროზა, თბ., 2012.
- ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.
- შველ.** – შველი ზამთრში თბ., 1986.
- შორ.** – შორი თეთრი მწვერვალი თბ., 1976.
- ჩიტ.** – ჩიტების გამომზამთრებელი, თბ., 1978.
- ცისფ.** – ცისფერი გორგალი, თბ., 1968.
- წერ.** – მოთხრობები, ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან, წერილები თბ., 2012.
- ჯაფ.** – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhnelidze

Designations of Trees and Shrubs in R. Inanishvili's Language

Summary

The paper demonstrates that R. Inanishvili used rich vocabulary to designate trees and shrubs in his prose. The author used not only literary names but also folk ones that undoubtedly contributed to enriching the lexical fund of the Georgian language and in this regard R. Inanishvili played a huge part.